

კერძო საშუალო სკოლა „აისის“
დებულება

კერძო საშუალო სკოლა „აისი“-ს დირექტორის

2 აპრილი, 2021 წელი
ბრძანება #16
ქ. თბილისი

1. საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს კერძო სამართლის იურიდიული პირის შპს „აისი“-ს დებულება
2. განისაზღვროს ორგანიზაციის სტრუქტურა, საქმიანობის სფერო, ბიუჯეტი.

სესილი ქადარია

კერძო საშუალო სკოლა „აისი“-ს დებულების დამტკიცების შესახებ

თავი I

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. შპს „აისი“ (შემდგომში წოდებული სკოლა „აისი“) არის მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას საქართველოს კონსტიტუციის, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმისა და სხვა კანონების საფუძველზე.
2. სკოლა „აისი“-ს დაფინანსების წყაროა სკოლის მოსწავლეთა გადასახადები, შემოწირულობები, კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა.
3. სკოლის ოფიციალური მისამართია: ქავთარაძის 27 ა.
4. სკოლის ოფიციალური ელ.მისამართია: <aisi@edu.ge>
5. სკოლის ელ. ფოსტა არის: info@aisi.edu.ge
6. სკოლას აქვს ბეჭედი.

თავი II

სკოლის კომპეტენცია და ფუნქციები

მუხლი 2. სკოლის ვალდებულება

1. სკოლა აისი ვალდებულია:
 - ა) მოსწავლეებს მიაწოდოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლება, რომელიც ეფუძნება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებს;
 - ბ) შექმნას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის საჭირო ყველა პირობა;
 - გ) დაიცვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილი ეროვნული სასწავლო გეგმა;
 - დ) ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა განახორციელოს გრიფინიჭებული სახელმძღვანელოებით, ხოლო თუ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანში არ არის გრიფინიჭებული სახელმძღვანელო – სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოთი;
 - ე) უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების განხორციელება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული წესების შესაბამისად;
 - ვ) შექმნას ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, შესაბამისი საფეხურის სხვა მოსწავლეთაგან განცალკევებით;
 - ზ) შექმნას ინკლუზიური განათლების განხორციელების პირობები;
 - თ) არ დაუშვას არამეცნიერული შეხედულების ან თეორიის, როგორც მეცნიერული თეორიის ან ფაქტის, სწავლება;
 - ი) ჰქონდეს თვითშეფასების სისტემა;
 - კ) უზრუნველყოს სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე მყოფი მოსწავლის უსაფრთხოება;
 - ლ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს მასწავლებლობის მაძიებელი სკოლაში;
 - მ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარუდგინოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებაში დასაქმებული მასწავლებლების პერსონალური მონაცემები, აგრეთვე ინფორმაცია სკოლაში არსებული მასწავლებლებისა და მასწავლებლობის მაძიებლების ვაკანსიების შესახებ;

ნ) მის ხელთ არსებული რესურსების ფარგლებში ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, მათ შორის, პროფესიული მზადების პროგრამაში მათი მონაწილეობის ხარჯების დაფინანსების ან თანადაფინანსების გზით;

ო) ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის ფარგლებში უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია:

ა) უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და სრულყოფილი განვითარებისათვის სამედიცინო, მათ შორის, ფსიქოლოგიური დახმარების და კვების პუნქტების არსებობა;

ბ) უზრუნველყოს მოსწავლეები სასკოლო ბიბლიოთეკით, რომელიც ეფუძნება მოსაზრებათა პლურალიზმს და უზრუნველყოფს მოსწავლის ყოველმხრივ განვითარებას, მის მიერ ქვეყნის თვითმყოფადობის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და კულტურული მრავალფეროვნების შეთვისებას;

გ) შესთავაზოს მოსწავლეებს ფასიანი სერვისები, მათ შორის ტრანსპორტირება, ლიტერატურული კითხვა და სხვა წრე.

დ) ჩართოს მოსწავლეები ადგილობრივ, საერთაშორისო ღონისძიებებში, კონკურსებში, აქტივობებში.

ე) მასწავლებლებს ჩაუტაროს შიდა ტესტირება, ტრენინგი, მონიტორინგი.

ვ) შექმნას სამიზნე ჯგუფი, რომელიც განახორციელებს პედაგოგების შეფასებასა და დასკვნის სახით წარმოადგენს სუსტ და ძლიერ მხარეს.

ზ) განახორციელოს საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საქართველოში სწავლება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თ) სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ითანამშრომლოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთან;

თავი III

სკოლის მართვის ორგანოები და მათი ფუნქციები

მუხლი 3. დირექცია

1. სკოლის დირექცია შედგება სკოლის დირექტორების, მისი მოადგილის/მოადგილეებისა და ბუღალტრისგან.

2. სკოლის დირექტორი:

ა) ახორციელებს სკოლის მართვას;

ბ) წარმოადგენს სკოლას მესამე პირებთან ურთიერთობებში, გარდა ამ კანონითა და სკოლის წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) განსაზღვრავს სკოლის პოლიტიკასა და საქმიანობის სფეროს;

დ) შეიმუშავებს, ამტკიცებს საშტატო განრიგს;

- ე) მონაწილეობს პედაგოგიური საბჭოს მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში;
- ვ) საქართველოს შრომის კოდექსის, სამინისტროს მიერ დამტკიცებული პირობებისა და წესის შესაბამისად უზრუნველყოფს მასწავლებლებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას;
- ზ) უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულება ხელშეკრულების პირობების დარღვევის, საადმინისტრაციო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არაკვალიფიციურობის დადასტურების შემთხვევაში;
- თ) ზედამხედველობს სკოლაში მიმდინარე სასწავლო-საადმინისტრაციო პროცესს;
- ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის წესდებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

4.3. დირექტორი საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის წესდებით გათვალისწინებულ ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს.

თავი IV პედაგოგიური საბჭო

მუხლი 4. პედაგოგიური საბჭო

1. პედაგოგიურ საბჭოში ყველა მასწავლებელი და მასწავლებლობის მაძიებელი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.
2. საბჭოს წევრთა ერთ მესამედს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოიწვიოს პედაგოგიური საბჭოს სხდომა, მოითხოვოს სამეურვეო საბჭოში მათი წარმომადგენლის მოსმენა.
3. პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა 3 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს.
4. პედაგოგიურ საბჭოში მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე იქმნება ცალკეული სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ასრულებენ საბჭოს დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე.
5. პედაგოგიური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით.

მუხლი 5. ფუნქციები

1. პედაგოგიური საბჭო:
 - ა) ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს და ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმებს;
 - ბ) ამტკიცებს სასწავლო მასალას, მათ შორის, გრიფინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხას;
 - გ) ირჩევს მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორს;
 - დ) სასწავლო წლის ბოლოს წარმოადგენს შეფასებას .

თავი V საგნობრივი კათედრები

მუხლი 6. საქმიანობის სფერო

1. კათედრა თავის საქმიანობას წარმართავს ზოგადი განათლების შესახებ კანონის, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის წესდების, შინაგანაწესისა და ამ დებულების შესაბამისად.
2. მოქმედების არეალი –სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესები.

მუხლი 7. კათედრის მიზანი და ფუნქცია

7.1 კათედრის მიზანია:

- ა) სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვა;
- ბ) შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტების ანალიზის შედეგად, საუკეთესო პრაქტიკის შემოღება;
- გ) წევრი მასწავლებლების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება;
- დ) მიმდინარე საკანონმდებლო, პრაქტიკული სიახლეების კათედრის წევრებს შორის გაზიარება.

7.2 კათედრის ფუნქციაა:

- ა) საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;
- ბ) კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
- გ) საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;
- დ) სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებისთვის საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);
- ე) ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის; ვ) რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
- ვ) შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;
- ზ) სკოლის დირექტორისთვის მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრის წარდგენა;
- თ) ადგილობრივი და საერთაშორისო სიახლეების გაცნობა/გაზიარება და საუკეთესო პრაქტიკის (BEST PRACTISE) დანერგვა.

მუხლი 8. კათედრის სახეები და წევრები

1. სკოლაში ფუნქციონირებს:

- ა) დაწყებითი საფეხურის კათედრა (I-IV კლასი ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება მასწავლებლები);
- ბ) საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, მე და საზოგადოება, ჩვენი სამშობლო, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება; არჩევითი საგანი -მეწარმეობა, მსოფლიო კულტურა; მოქალაქეობა, საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება მასწავლებლები);
- გ) სახელმწიფო ენის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენა და ლიტერატურის მასწავლებლები;
- დ) უცხოური ენა(ინგლისური ენა, რუსული ენა, ფრანგული ენა, ესპანური ენა, გერმანული ენა, იტალიური ენა, აფხაზური ენა მასწავლებლები);
- ე) მათემატიკისა და ისტ ტექნოლოგიების კათედრა;
- ვ) საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრა (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია მასწავლებლები);
- ზ) ესთეტიკისა და სპორტის კათედრა (ხელოვნება, მუსიკა, არჩევითი საგანი- ხელოვნების ისტორია, სპორტი და ფიზიკური აღზრდა მასწავლებლები

თ) სკოლაში შექმნილი კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს.

მუხლი 9. კათედრის ორგანიზაციული მოწყობა

1 ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, სასწავლო პროცესის დაწყებამდე პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს კათედრის სახეებს, შემავალ წევრებსა და სხდომის პირველ თარიღს, რომელიც ეცნობება თითოეულ კათედრის წევრს.

2. კათედრის პირველ სხდომაზე, ხმათა უმრავლესობით, 1 სასწავლო წლის ვადით აირჩევა კათედრის *თავმჯდომარე, რომელიც:*

- ა) უძღვება კათედრის სხდომებს და ხელმოწერით ამტკიცებს სხდომის ოქმებს;
- ბ) კათედრის წევრებთან ერთად უზრუნველყოფს სასწავლო წლის სტრატეგიული გეგმის შემუშავებას;
- გ) წელიწადში ორჯერ, დირექტორთან და პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე წარსადგენად ამზადებს ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ;
- დ) ანგარიშვალდებულია დირექტორის მოადგილის სასწავლო აღმზრდელობით დარგში, დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოს წინაშე;
- ე) უზრუნველყოფს კათედრის სხდომების ჩატარებას სემესტრში მინიმუმ ორჯერ;
- ვ) ქმნის სტრატეგიულ გეგმასა და დავალებებს ანაწილებს შემავალ წევრებს შორის;
- ზ) უზრუნველყოფს კათედრის ეფექტურად ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის სხვადასხვა ღონისძიების (ლექცია, სემინარები, სამოძრაო გაკვეთილები და სხვა) ჩატარებას;
- თ) კოორდინირებას უწევს კათედრის მუშაობას და უზრუნველყოფს ფუნქციების ეფექტურად განაწილებას კათედრის წევრებს შორის;
- ი) წარუდგენს წინადადებებსა და რეკომენდაციებს (პედაგოგთა რეიტინგის, წახალისების მექანიზმების, ექსპერტთა მოწვევის, ტრენინგებისა და სხვა ღონისძიებათა შესახებ) სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგიურ საბჭოს;

მუხლი 10. კათედრის წევრის ფუნქციები

1 კათედრის წევრი უღებამოსილია :

- ა) ინიცირებით მიმართოს კათედრას, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს აღნიშნული საკითხი და კენჭი უყაროს ცვლილებებს;
 - ბ) დააფიქსიროს განსხვავებული მოსაზრება, შემოიტანოს სიახლე კათედრის მუშაობის დროს და გააცნოს კათედრის წევრებს მის ხელთ არსებული სიახლე;
2. კათედრის წევრი ვალდებულია:
- ა) დაესწროს ყველა სხდომას;
 - ბ) დაიცვას ეთიკის ნორმები;
 - გ) შეასრულოს კათედრის თავმჯდომარის დავალება კეთილსინდისიერად, დათქმულ ვადაში.

მუხლი 11. კათედრის სხდომა

- 1. სასწავლო წლის განმავლობაში კათედრის სხდომა ტარდება მინიმუმ 4 ჯერ;
- 2. სხდომის ორგანიზებაზე პასუხისმგებელია კათედრის თავმჯდომარე, რომელიც ელ.კომინუკაციების მეშვეობით უზრუნველყოფს წევრების ინფორმირებულობას.
- 3. რიგგარეშე კათედრის სხდომა ჩატარდება: ა) საჭიროების შემთხვევაში კათედრის თავმჯდომარის ან კათედრის წევრების 1/3-ის მოთხოვნისთანავე; ბ) წევრები რიგგარეშე სხდომის შესახებ გაფრთხილებულები უნდა იყვნენ სამი სამუშაო დღით ადრე მაინც, განსახილველი საკითხების მითითებით.
- 4. კათედრა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ:
 - ა) კათედრის სხდომას ესწრება კათედრის საერთო წევრთა 2/3;
 - ბ) კათედრის სხდომა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით;
 - გ) ხმების თანაბარი რაოდენობით გაყოფის შემთხვევაში კათედრის თავმჯდომარის ხმა არის გადამწყვეტი;

მუხლი 12. სამართლებრივი აქტები

1. კათედრამ თითოეული შეხვედრის განმავლობაში უნდა აწარმოოს:

- ა) დღის წესრიგი, სადაც თითოეული დამსწრე მასწავლებლის ხელმოწერა იქნება დაფიქსირებული;
- ბ) გადაწყვეტილება, ოქმი;
- გ) სტრატეგიული სამოქმედო გეგმა.